შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N02-33

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და შპს ევროტექსერვისის შორის 2019 წლის 13 მაისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02-33 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი **3 დეკემბერი 2019 წელი**

ერთი მხრივ **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** („შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის **დიმიტრი ბერიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს ევროტექსერვისი** („მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლიანა აბულაშვილის** სახით, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბალანსზე რიცხული კონდიციონერების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) შესყიდვის მიზნით მხარეებს შორის 2019 წლის 13 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02-33 ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და შპს ევროტექსერვისის შორის 2019 წლის 17 მაისს, 2019 წლის 1 აგვისტოს და 2019 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე საჭიროა შემცირდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულება **62.00** (სამოცდაორი ლარი და 00 თეთრი) ლარით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და შპს ევროტექსერვისის შორის 2019 წლის 13 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02-33 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3438.00** (სამი ათას ოთხასოცდათვრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და შპს ევროტექსერვისის შორის 2019 წლის 13 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02-33 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მას დამოუკიდებლად იურიდიული ძალა არ გააჩნია.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

დიმიტრი ბერიძე _____

შპს ევროტექსერვისი

ლიანა აბულაშვილი _____